Disbon 404 ELF
1K-Acryl-Bodensiegel

ერთკომპონენტიანი, პოლიურეთანით გაძლიერებული - აკრილატის დამცავი დანაფარი, იატაკის ზედაპირებისთვის. შემცირებული ემისიების მქონე და გამხსნელების გარეშე. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.

პრდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

დამცავი დანაფარი მინერალური იატაკის ზედაპირებისთვის - შიდა და გარე სამუშაოებისთვის. ასევე, შიდა სივრცეებში არსებული, საშუალო დატვირთვების მქონე მყარი ასფალტის ზედაპირებისთვის.

თვისებები

- გამხსნელებისა და პლასტიზატორების გარეშე (ELF)
- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში, (AgBB-konform & Eurofins IAC Gold დამოწმება)
- პოლიურეთანით გაძლიერებული
- ატმოსფერული მოვლენებისადმი და ულტრაიისფერი (UV) სხივებისადმი მედეგი
- ძალიან კარგი წმენდადობის უნარი
- ძალიან კარგი აბრაზიული წინააღმდეგობა
- გაზრდილი ცვეთამედეგობა
- ელასტიური

პროდუქტი შემოწმებულია სამშენებლო მასალების სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების კომიტეტის (AgBB) კრიტერიუმების შესაბამისად - ემისიაზე (გაფრქვევა) და აქროლადი ორგანული შენაერთების ემისიაზე (VOC). AgBB-ის შეფასების სქემა შემუშავდა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ. პროდუქტი ასევე სერთიფიცირებულია Eurofins Indoor Air Comfort Gold-ის მიერ (Eurofins IAC Gold), რაც სცილდება AgBB-ს მოთხოვნებს და ადასტურებს, რომ სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია მდგრადი შენობების მოთხოვნები შემდეგი ასოციაციების ნორმების შესაბამისად: LEED, BREEAM International, BREEAM-NOR, DGNB, WELL Building და იტალიური CAM Edilizia.

მასალის შემკვრელი

პოლიურეთანით გაძლიერებული მეთაკრილატის დისპერსია

შეფუთვის ზომები

სტანდარტული:
2,5 ლ, 5 ლ, 12,5 ლ.

ColorExpress:
2,5 ლ, 7,5 ლ, 12,5 ლ.

ფერი

სტანდარტული:
12,5 ლ: Betongrau (დაახლ. RAL 7023), Steingrau (დაახლ. RAL 7030), Kieselgrau (დაახლ. RAL 7032), Achatgrau (დაახლ. RAL 7038)

2,5 ლ, 5 ლ: Steingrau (დაახლ. RAL 7030), Kieselgrau (დაახლ. RAL 7032), Achatgrau (დაახლ. RAL 7038)

ინდივიდუალური ფერები შეკვეთით.

ColorExpress:
შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-ის სისტემის აპარატების მეშვეობით - 28.000-ზე მეტ ფერთა ტონალობებში. ინდივიდუალური ფერების შერჩევა შესაძლებელია FloorColor plus-ის ფერთა კოლექციიდან. სასურველი ფერის მიხედვით, შეაფერადეთ ბაზა 1, ბაზა 2 ან ბაზა 3 - ColorExpress-ის სისტემის აპარატის მეშვეობით.

ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები) , ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე.

სიპრიალის ხარსხი	აბრეშუმისებრი მქრქალი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 2 წელია. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე
ტექნიკური პარამეტრები	SD მნიშვნელობა: დაახლ. 0,9მ. (300 µm მშრალი ფენის სისქეზე) ■ სიმჭიდროვე: დაახლ. 1,3 გ/სმ3 ■ მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 45 µm/100 მლ/მ2 ■ გაცვეთის მაჩვენებელი ტაბერის მიხედვით (CS 10/1000 U/1000 g): დაახლ. 160 მგ/30 სმ2 ■ ფარდობითი წაგრძელება გაწყვეტისას: დაახლ. 45 %

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	მინერალური ზედაპირები: ბეტონი, ცემენტი, ბათქაში, ქვის (აგურის) წყობა, მყარი ასფალტი შიდა სივრცეებში და მზიდუნარიანი ძველი დანაფარების მქონე იატაკის ზედაპირები. ზედაპირები უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერის ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N / მმ2– ზე დაბალი. ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას (ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი)). მყარი ასფალტის ზედაპირი უნდა შეესაბამებოდეს სიმკვრივის კლასს - IC 15 და არ უნდა დეფორმირდეს მოცემული ტემპერატურის პირობებში და მექანიკური დატვირთვების დროს.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა მომზადდეს შესაბამისი მექანიკური მეთოდების გამოყენებით. მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები და ქუჭყი. გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი. ძველი არამზიდი დისპერსიული დანაფარები სრულად მოაცილეთ ზედაპირს. მყარი ეპოქსიდური (EP) დანაფარები საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს. დაამუშავეთ ზედაპირი გასაშლიფი ღრუბელით. მცირე დეფექტები და ბზარები შეავსეთ Disbocret®-PCC-Mörtel-ით.
მასალის მომზადება	მასალა მზად არის გამოსაყენებლად. დამუშავებამდე კარგად აურიეთ.
დატანის მეთოდები	მასალის დატანა შესაძლებელია ფუნჯით, გორგოლაჭით ან უჰაერო მიფრქვევის დანადგარით (Airless, ფილტრის გარეშე, ნახვრეტის სისქე: 0,013–0,015 ინჩი)
დაფარვის სტრუქტურა	**მინერალური ზედაპირები** **საგრუნტი დანაფარი (ექსტერიერი)** Caparol CapaSol Konzentrat-თან ერთად წყლით გაზავებული თანაფარდობით: 1 : 2, ან გაუზავებებელი CapaSol RapidGrund-ი. **საგრუნტი დანაფარი (ინტერიერი)** Disbon 404 ELF 1K-Acryl-Bodensiegel-ი 30 % წყლით გაზავებული, ან Caparol CapaSol Konzentrat-თან ერთად წყლით გაზავებული თანაფარდობით: 1 : 2, ან გაუზავებებელი CapaSol RapidGrund-ი. მყარი ასფალტის ზედაპირის დაგრუნტვა არ არის საჭირო. **ძირითადი დანაფარი** *ბზარებისაგან თავისუფალი ზედაპირები:* *დაიტანეთ* ორი ფენა გაუზავებელი Disbon 404 ELF 1K-Acryl-Bodensiegel-ი. Zur Erhöhung der Rutschhemmung dem letzten Anstrich 3 Gew.-% მოცურების წინააღმდეგობის გასაზრდელად, ბოლო ფენას დაუმატეთ 3 წონა-% პროდუქტი: DisboADD 947 Glasperlen fine-ი (მინის ბურთულები). *დაბზარული ზედაპირები:* დაიტანეთ მასალა მხოლოდ 1 ფენა. ჩაძირეთ ახალ დატანილ, სველ დანაფარში შესაბამისი ბადე (მაგალითად: Fa. Kobau, Glasgitter-Gewebe, 5/5, მინ. 5 სმ გადაფარვით) და წაუსვით შუალედური ფენა. ცალკეული ბზარები შეიძლება დაიფაროს ბადის ზოლებით (15-20 სმ. სიგანე). შუალედური ფენის გაშრობის შემდეგ, დაიტანეთ დამასრულებელი/საბოლოო დანაფარი. **ზედაპირის დეკორატიული გაფორმება** *"ჩიპების" გაფანტვა":* მოაყარეთ ახალ დატანილ დანაფარს პროდუქტი: DisboADD 948 Farbchips-ი (2-4 მმ).და შემდეგ სურვილისამებრ დაამუშავეთ მოგლუვების მეთოდით. ასევე შესაძლებელია "ჩიპების" მოყრა დაგლუვების გარეშე, პროდუქტით: DisboADD 8255 Farbchips-ით (1 - 2 მმ). *ზედაპირის მოგლუვება:* დაიტანეთ გარე სივრცეებში პროდუქტი: DisboTHAN 446-ი, ხოლო შიდა სივრცეებში პროდუქტი: Disbon 405-ი.

მოცურების საწინააღმდეგო, დამასრულებელი დანაფარი:
DisboTHAN 446: 100 წონა-%,
DisboADD 947 Glasperlen უხეში: 10 წონა-%,
DisboADD 499 გამათხელებელი: 5–10 წონა-%.

არ დაიტანოთ მასალა ისეთ ზედაპირებზე, სადაც მოსალოდნელია მუდმივი კონტაქტი, პლასტიზატორების შემცველ პლასტმასებთან (მაგ: მანქანის საბურავი).
ასევე არ დაიტანოთ მასალა, წყლის ხანგრძლივი ზეგავლენის ქვეშ მყოფ ზედაპირებზე.

ხარჯი

იატაკის დანაფარი	
საგრუნტი დანაფარი ინტერიერი/ექსტერიერი	
CapaSol Konzentrat	დაახლ. 150 - 200 მლ/მ2 1 : 2 წყლით გაზავებული
საგრუნტი დანაფარი (ინტერიერი)	
Disbon 404 ELF 1K-Acryl-Bodensiegel, 30 % წყლით გაზავებული	დაახლ. 150–200 მლ/მ2
ძირითადი დანაფარი	
Disbon 404 ELF 1K-Acryl-Bodensiegel მოცურების საწინააღმდეგო საბოლოო დანაფარი + 3 წონა% DisboADD 947 Glasp.Fine.	2 x დაახლ. 150 მლ/მ2
ზედაპირის დეკორატიული გაფორმება	
"ჩიპების" გაფანტვა DisboADD 948 Farbchips 2 - 4 მმ. DisboADD 8255 Farbchips 1 - 2 მმ.	 დაახლ. 30 გ/მ2 დაახლ. 20 გ/მ2
გლუვი/საბოლოო დანაფარი (ექსტერიერი) DisboTHAN 446	 დაახლ. 150 მლ/მ2
გლუვი/საბოლოო დანაფარი (ინტერიერი) Disbon 405	 დაახლ. 130 მლ/მ2
მოცურების საწინააღმდეგო (ექსტერიერი) DisboTHAN 446 PU-Klarschicht DisboADD 947 Glasperlen, უხეში	 დაახლ. 150 მლ/მ2 დაახლ. 15 გ/მ2

ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 5 ° C, მაქსიმალური - 30 ° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 ° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი, 20 ° C ტემპერატურის პირობებში: მინიმალური - 5 საათი. შემდეგი ფენის დატანა პროდუქტით: Disbon 404 ELF ან Disbon 405-ი - დაახლ. 5 საათი. შემდეგი ფენის დატანა პროდუქტით: DisboTHAN 446 დაახლ. 1 დღე. მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 5 საათში. შრება და მზადაა დატვირთვების ასატანად 3 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით და საპნით.

მითითებები

სერთიფიკატები

აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

უსაფრთხო მოხმარების წესები

მოარიდეთ ბავშვებს!
იწვევს კანის გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას - ატარეთ დამცავი სათვალე. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ კანი. არ დაუშვათ გარემოში და ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალე. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს. სამუშაო ტანსაცმელი გაიხადეთ და გარეცხეთ შემდეგ გამოყენებამდე. **შეიცავს:** 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონ, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონ. არ შეისუნთქოთ, მუშაობის დროს წარმოქმნილი აირები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/i): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი

Giscode: BSW20
M-LW01 (ძველი)

CE-მარკირება

CE

Disbon GmbH
Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt

18

DIS-404 ELF -001263

EN 13813:2002 სინთეზური ფისოვანი საფარი ინტერიერში გამოსაყენებლად
EN 13813:SR-Efl-B1,5-AR1-IR4

აალების კოეფიციენტი	Efl
კოროზიული ნივთიერებების გამოყოფა	SR
წყლის გამტარიანობა	NPD
ცვეთამედეგობა	≤ AR1
გაჭიმვის ადჰეზიური მედეგობა	≥ B1,5
დარტყმის მიმართ მედეგობა	≥ IR4

EN 13813
DIN EN 13813 "Screed Mortars, screed compounds and screeds - Screed mortars and screed compounds - თვისებები და მოთხოვნები" (2003 წლის იანვარი) - განსაზღვრავს მოთხოვნებს ხსნაროვანი დანაფარების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ინტერიერის იატაკის კონსტრუქციებისთვის. სინთეზური ფისოვანი საფარები და გამჟღენთები, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტებს. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო,
ელ-ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge